სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

08 **აპრილი, 2024 წელი**

ბრძანება № 01-08/339

„სწავლის საფასურის დავალიანების მქონე, 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით სტატუსშეჩერებული ბსუ-ს სტუდენტების 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის **ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების და საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 თებერვლის №01-08/50 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 და 66-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის, „უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 18 ოქტომბრის №90/ნ ბრძანების, „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის N111 დადგენილების, „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს N01-02/143 ბრძანების**, „2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №06-01/02 დადგენილების, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2024 წლის 28 მარტის MES 6 24 0000368431 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სწავლის საფასურის დავალიანების მქონე,2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით სტატუსშეჩერებული ბსუ-ს სტუდენტების 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების და საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 თებერვლის №01-08/50 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება** ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტ **ხატია პაქსაძესთან** (პ/ნ 61001070304) მიმართებაში, კერძოდ, ნაცვლად მე-4 სემესტრისა, მიეთითოს მე-2 სემესტრი და ამავე ბრძანების N1 დანართში წარმოდგენილი ცხრილის მე-13 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	სტუდენტის სახელი და გვარი	სტუდენტის პირადი ნომერი	ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლების საფეხური	ბსუ-ს ფაკულტეტი	კრედიტი	სემესტრი	სწავლის წლიური საფასური (ლარი)
13	ხატია პაქსაძე		ეკონომიკა-მაგისტრატურა	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	60	2	2250

2. „სწავლის საფასურის დავალიანების მქონე, 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით სტატუსშეჩერებული ბსუ-ს სტუდენტების 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების და საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 თებერვლის №01-08/50 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება** ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტ **მარიამ ბერიძის** (პ/ნ 61006069526) აღიარებულ კრედიტებთან მიმართებაში, კერძოდ, <u>ნაცვლად 46 კრედიტისა, მიეთითოს 48 კრედიტი</u> (აღიარებული კრედიტები - წინამდებარე ბრძანების №1 დანართი) და ამავე ბრძანების N2 დანართში წარმოდგენილი ცხრილის მე-3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	სტუდენტი	სტუდენტის პირადი ნომერი	ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლების საფეხური	ბსუ-ს ფაკულტეტი	ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლების საფეხური, სადაც აგრძელებს სწავლას	ბსუ-ს ფაკულტეტი, სადაც გადადის	სემესტრი	კრედიტი	სწავლის წლიური საფასური (ლარი)
3	მარიამ ბერიძე		სამართალმცოდნეობა - ბაკალავრიატი	იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ფილოსოფია - ბაკალავრიატი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	2	48	2250

3. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებსა (შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს) და სტუდენტებს, ასევე განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„სწავლის საფასურის დავალიანების მქონე,2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით სტატუსშეჩერებული ბსუ-ს სტუდენტების 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების და საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 თებერვლის №01-08/50 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 08 აპრილის N01-08/339 ბრძანების

N1 დანართი

ბსუ-ს **იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა** ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა **მარიამ ბერიძემ** (პ/ნ) მონაწილეობა მიიღო ბსუ-ში 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გამოცხადებულ **შიდა მობილობაში** და შესაბამისად, მომზადდა პროგრამული თავსებადობის განსაზღვრისა და კრედიტების აღიარების შესახებ საფაკულტეტო დასკვნა ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მიზნისათვის. საფაკულტეტო დასკვნის თანახმად **მარიამ ბერიძეს უღიარდა სულ 46 კრედიტი** (აქედან, ძირითადი სპეციალობის **15 კრედიტი,** თავისუფალი/არჩევითი კურსების **31 კრედიტი**) და მიეცა სწავლის გაგრძელების უფლება ბსუ-ს „ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, **სწავლების მე-2 სემესტრიდან.**

მარიამ ბერიძემ 2024 წლის 28 მარტის განცხადებით (№ 364982) მოითხოვა სასწავლო კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობა" კრედიტების დაკორექტირება და ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 თებერვლის N01-08/48 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

მარიამ ბერიძის განცხადების საფუძველზე მომზადდა განმეორებითი საფაკულტეტო დასკვნა, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობა" - 5 კრედიტის ოდენობით აღიარებას.

წინამდებარე განმეორებითი დასკვნის თანახმად **მარიამ ბერიძეს** უღიარდა **ჯამში 48 კრედიტი** (აქედან, ძირითადი სპეციალობის **17 კრედიტი,** თავისუფალი/არჩევითი კურსების **31 კრედიტი**) **და** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N55 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით იგი უფლებამოსილია 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლა გააგრძელოს ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მე-2 სემესტრიდან.

ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ათვისებული სასწავლო კურსები				ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და აღიარებული სასწავლო კურსები		აღიარ. შეფასება	აღიარ. კრედიტები	შენიშვნა
	დასახელება	კრედიტი	შეფასება	დასახელება	კრედიტი			
1	კომპიუტერული კომუნიკაცია	4	65	საინფორმაციო ტექნოლოგიები	3	65	3	

2	აკადემიური წერა და მეტყველება	4	71	აკადემიური წერის საფუძვლები	4	71	4	
3	დემოკრატია და მოქალაქეობა	3	51	დემოკრატია და მოქალაქეობა (სპეციალობის არჩევითი)	5	51	5	
4	ინგლისური ენა A1.1	5	61	ინგლისური ენა A1.1	5	61	5	
	სულ:	16		სულ:	17			
				თავისუფალი კომპონენტი				
5	ქართული სამართლის ისტორია	5	53	ქართული სამართლის ისტორია	53	5		
6	საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია	5	71	საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია	71	5		
7	შესავალი სამართალმცოდნეობაში	5	51	შესავალი სამართალმცოდნეობაში	51	5		
8	შესავალი კონსტიტუციურ სამართალში	4	62	შესავალი კონსტიტუციურ სამართალში	62	4		
9	ფსიქოლოგია	2	64	ფსიქოლოგია	64	2		
10	შესავალი სამოქალაქო სამართალში	5	51	შესავალი სამოქალაქო სამართალში	51	5		
11	ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი	5	55	ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი	55	5		
	სულ:	31		სულ:		31		
				სულ ათვისებული და აღიარებულია - 48 კრედიტი				